



შეფასება/ 30 ქულა

სახელი, გვარი

X კლასი - ქართული ენა და ლიტერატურა

დავალება I (10 ქულა)

ყურადღებით წაიკითხეთ გიორგი ლეონიძის ნოველა „მეეტლე იაგორა“ და შეასრულეთ დავალებები:

ორმოც წელიწადზე მეტი იყო სოფლიდან თბილისში მეტლედ გაქცეული იაგორა და ერთხელაც არ გახსენებია სოფელი.

ჯუხი ჯანმრთელი მეეტლე თბილისში შრომისა და ცხოვრების ამოებაში იყო გართული. ქალაქში პატარა ქოხიც ეყიდა და უკვე მოქალაქე გამხდარი, სოფელს აღარ კადრულობდა. ბოლოს კი მოხუცობაში მიწამ მოიკითხა. თავათ უშვილო იყო, ცოლიც მოუკვდა, თანანა. ცხენებიც დაეხოცა. ქოხში წვიმამ ჩამოატანა, მსოფლიო ომიც დაიწყო. გაღარიბდა, დაავადმყოფდა ჩვენი იაგორა და სოფელს მიაშურა. ეს იყო მსოფლიო ომის, მეორე წელს.

კარგად მახსოვს მისი ქალაქიდან დაბრუნების დღე, ჩვენს უბანში იყო ეს ახალი ამაგი, თუგინ, მთელი მოვლენაც. სწორედ იმ დღეს წმინდა გიორგის ხატში ვიყავით, სოფლის განთქმულ სალოცავში. სპრილის გასულები იყო. სთქვირებული ბალახი მუხლზე გვცემდა, ზეიმობდა პირველი სიმწვანე გაზაფხულისა. სანატრელი მეზობლები იაგორას პატივით ხვდებოდნენ და მიიპატიჟეს ხატობაში, რომელიც, აგერ ორმოცი წელიწადია, რაც არ ელოცა.

იაგორა ხარობდა, იცინოდა, გამოიცვალა, თითქოს სიბერის ქურქი გადასძვრაო, თითქოს ფენიქსივით განახლდაო, აღტაცებული მწვანე ბალახში ეხვეოდა:

-უჰ, თქვენი ჭირიმეთ და! ... -თან მუხლი ეჭრებოდა.

როცა ხატობის სუფრაზე დაჯექით და იაგორას სავსე კერძი მიანოდეს, მან მოულოდნელად წამოიძახა:

- მთელ სიცოცხლეს ვნატრობდი: ღმერთო, აუწონავი ხორციოთ გამაძღე-მეთქი! ჰოი, თქვენს დედის რძეს ვენაცვალე!

თამადა, მოხუცი რკინიგზელი მუშა, თვითვე სადღეგრძელოს ასე იწყებდა: „შაგნებულო და მომზადებულო ამხანაგებო!“ იაგორა კი არ აცლიდა თამადას მჭევრმეტყველებას და გაიძახოდა:

-აუწონავი ხორცი, აუწონავი! უჰ,თქვენი ჭირიმეთ!

ორმოც წელიწადს ქალაქის სასწორის შემყურე იაგორასათვის, ამ ომიანობის დამწყველ დროს, როცა შავი პური საძებარი გახდა, მართლაცდა სანატრელი უნდა ყოფილიყო აუწონავი, მუქთა ხორცი...

აქ კი კმასაყოფელი პურ_მარილი, ღვინო...

გრძელი მწვადები შიშინებდა, სიმსუქნის ქონი მინას ეწვეთებოდა.



მიამიტ სოფლელებს უკვირდათ იავორას აღტაცება. ერცხვინებოდათ ჭამაზე ლაპარაკი ქალაქელი კაცისა, განსაკუთრებით კრძალულ მანდილოსნებს. კაცები კი , ხორცთან ერთად, ღვინოსაც აძალებდნენ:

- ჩაიგემე, ჩაიგემე, ჩვენებური მირონიაო!

-უჰ,თქვენი ჭირიმეთ! -დიდხმიანობდა, კუნტრუშობდა იავორა, სოფლელები კი ტკბილად მუსაიფობდნენ, უხაროდათ ერთმანეთობა, გულახსნილობა. მალე კიდევაც მაგრად დაღვინიანდნენ. ღვინომოკიდებული იავორა ქალაქურ ყაიდაზე ჭიკჭიკებდა.

იავორა ჩარჩა სოფელში, დაბრუნების აღტაცებამ ნელ-ნელა გაიარა. სოფლის სინამდვილემ მალე გააცნო თავი, ველარ გაისაძლისა მძიმე გლეხური ცხოვრება სიცხესა თუ ტალახში, ვერ აიტანა. დაიწყო ქალაქზე დარდიანობა. საღამოთი გადადგებოდა თბილისის მხრივ სოფლის ბეჭობზე, ვითომ ქალაქიდან მისი შუქი შორიდან უნდა დაენახა, თვალი მოეკრა.

-აგარ, აგარ, მთაწმინდაზე შუქი აინთო, აჰა, სიონის ზარის ხმა მომესმის, -იძახოდა ღიმილით, თითქოს შორეულ, ტკბილ მოჩვენებას ესაუბრებო. სულ ქალაქზე ფიქრობდა, სადაც ეგულებოდნენ ძმაკაცები, მუშტრები. იგონებდა ვერისა და ორთაჭალის სალხინო სახლებს და გულზე მუშტს იბაგუნებდა. მაგრამ აღარც ჯანი მოსდევდა, აღარც წელი, აღარც ჯიბე, ველარც გლეხურ ცხოვრებას მიუდგა. დარჩა უმწეო, გარიყული, მარტოდმარტო.

-ახ, ვერა ვძლებ უქალაქოდ, იქაურ სინათლეს ვენაცვალე! კაციც ის არის, ვინც ქვაფენილი გამოიგონა! ვერა, ვერ ვიტან აქურ ტალახს, აქაურ სიბნელეს! ქათმებთან ერთად როგორ დავიძინო? მარტო ვარ... მოწყდა ... შინ რა მინდა... თუ არა და ციხეში წავალ, იქ ხალხში მაინც ვილაპარაკებ...

1 (5 ქულა). იმსჯელეთ მთავარი გმირის მხატვრულ სახეზე.

2 (5 ქულა). იმსჯელეთ ტექსტის მთავარ სათქმელზე.



დავალემა II (10 ქულა)

(4 ქ.) ჩასვით შესაფერისი სიტყვა:

1. ათი მოსეს ღმერთმა მისცა.

ა) მცნება; ბ) ცნება.

2. სამშობლოს დასაცავად ყველა უნდა გაიღოს მსხვერპლი.

ა) ჯარის კაცმა; ბ) ჯარისკაცმა

3. მეცნიერი მონადინებით იკვლევდა

ა) რალაცეებს; ბ) რალაც-რალაცებს; გ) რალაც-რალაცეებს;

4. თავი გაცილებით საინტერესოა.

ა) 25-ე; ბ) XXV-ე; გ) ოცდამეხუთე

(6 ქ.) წაიკითხეთ მოცემული წინადადებები და იპოვეთ და გაასწორეთ მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, პუნქტუაციური და სტილისტური ხარვეზები.

1. (2) მეგობარის დახმარება ყველა კაცს მის მოვალეობად მიაჩნია.
2. (2) დ. აღმაშენებელს ისტორიკოსები ყველაზე უნიჭიერეს სტრატეგად მიიჩნევდნენ.
3. (2) ბავშვები ჰაჰადან ახალგაზრდობის ამბავებს ისმენდნენ.

დავალემა III (10 ქულა)

